სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას თერამეტი წლის ოცდასამ თებერვალს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი რუსთაველის გამზირი №26. მომმართა შპს-მ „ GREEN WAY “ წარმოდგენილმა დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ GREEN WAY “ -ის შესახებ, ს/კ 425052444) მოჰამედ ხორამ ტოსის (დაბადებული 21.09.1970წ. პირადი № 01894001174, მცხოვრებ: თბილისი ხიზაბავრის ქ. 5 ბ. 77.) სახით. მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დაერწმუნდი, რომ ნამდვილად მოჰამედ ხორამ ტოსმა მომმართა. მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას, ამიტომ მინდობილობის დადასტურება მოანწილეობდა მის მიერ შერჩეული, ჩემთვის ცნობილი თარჯიმანი, ნანა ჭანტურიძე (პირადი № 35001044280). გარიგების ყველა მონაწილე, თარჯიმნის ჩათვლით, გაფრთხილებულ იქნა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. ამასთან, თარჯიმანი გაფრთხილებულ იქნა თარგმანის სიზუსტეზე პასუხისმგებლობის შესახებაც. ვადასტურებ, რომ მოჰამედ ხორამ ტოსის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შეეამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შეეადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. მოჰამედ ხორამ ტოსმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მოჰამედ ხორამ ტოსმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას თერამეტი წლის ოცდასამ თებერვალს შპს **“GREEN WAY “** წარმოდგენილი დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს **„ GREEN WAY “** -ის შესახებ, ს/კ 425052444) მოჰამედ ხორამ ტოსის სახით, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს თამარ მაჭავარიანს (დაბ. 10.08.1984წ. პირადი №01008023070) იყოს შპს **„ GREEN WAY”** -ს (ს/კ 425052444) სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან, (ნებისმიერი პროექტის ან/და ნებართვის მიღების/შეცვლის უფლებით), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან ურთიერთობაში. მიმართოს მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან ჩემი სახელით დადოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, მათ შორის იჯარის ხელშეკრულებას (ხელშეკრულების ყველა პირობის თავის შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით). წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს **შპს „ GREEN WAY”-ს (ს/კ 425052444)** სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. ბიგვავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

სანოტარო აქტს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „GREEN WAY”-ს (ს/კ 425052444) შესახებ. (ელექტრონული ვერსია).

მინდობილობა ძალაშია 2018 წლის 23 იანვრის ჩათვლით.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი 13,8 ლარი. მათ შორის 10 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა ასოციაციისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გაწევის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 1,8 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ხელმოწერა Mohammed Khoram Toa

თარჯიმანი ნანა ჭანტურიძე

სანოტარო მოქმედების ინფორმაციული ბეჭედი
18019988439718

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180193047

რეგისტრაციის თარიღი

23.02.2018 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18